ხელშეკრულება #___

499
05/07/2022

ქ. თბილისი **2022**

იმის გათვალისწინებით, რომ "სს RMG Copper" ბოლნისის მუნიციპალიტეტში, ფლობს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიას N 10002890, რომლის ფარგლებშიც მოქცეულია სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" ელექტრო გადამცემი ხაზი, ხოლო სალიცენზიო ტერიტორიაზე წვდომისა და სარგებლობისათვის საჭიროა ელექტრო გადამცემი ხაზის უსაფრთხო მანძილზე გადატანა;

ამასთან ცნობილია, რომ სს „ენერგო–პრო ჯორჯია"–ს მიერ, სს „RMG Copper"-ის სახელზე, 2021 წლის 13 აგვისტოს გაცემული იქნა №5179520 ნებართვა (ტექ. პირობა);

იმის გათვალისწინებით, რომ ტექნიკური პირობების შესაბამისად მოშზადდა „110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ტანძია"-ს რეკონსტრუქციის - #71 ანძიდან - #84 ანძამდე მონაკვეთის გადატანის" პროექტი;

იმის გათვალისწინებით, რომ სს „ენერგო–პრო ჯორჯიას" 2021 წლის 14 დეკემბრის №5195420 წერილით შეთანხმებული იქნა №54 (შემ. №8837175) შპს „ელექტრონი"–ს მიერ შესრულებული, 110კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ტანძია"-ს მონაკვეთის (№71-ანძიდან №84-ანძამდე) მონაკვეთის გადატანის მუშა პროექტი (წერილით დადგენილი პირობების შესაბამისად);

იმის გათვალისწინებით, რომ 2022 წლის 14 აპრილის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს N 3767/01 წერილის თანახმად საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 23 თებერვლის N2-134 ბრძანებით დამტკიცებული N6 (17.02.2022) სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად გზშ-ის ანგარიშის მოშზადება და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით სამინისტროში წარმოდგენა უნდა უზრუნველყოს სს „ენერგო-პრო ჯორჯიამ";

იმის გათვალისწინებით, რომ სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზია სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 7 ივნისის N 658/ს ბრძანების საფუძველზე შპს „კავკასიის სამთო ჯგუფიდან" გადაეცა სს „RMG Copper-ს;"

ერთის მხრივ სს "RMG Copper" (ს/კ 225358341) (შემდგომში - „პროექტის განმახორციელებელი") წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის თორნიკე ლიპარტიას სახით, ხოლო მეორეს მხრივ „სს ენერგო-პრო ჯორჯია" (ს/კ 205169066) (შემდგომში - „ბენეფიციარი") წარმოდგენილი მისი დირექტორის გრიგოლი მამისეიშვილის სახით, (შემდგომში ორივე ერთად წოდებული „მხარეები") წინამდებარე ხელშეკრულებით ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. *სს "RMG Copper"* ტექნიკური პირობის (ნებართვა 5179520), შეთანხმებული პროექტის, შემდგომში გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და საქართველოს

იურიდიული დეპარტამენტი
Legal Department

კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით, პირადად ან მესამე პირის საშუალებით უზრუნველყოფს „110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ტანძია"-ს რეკონსტრუქციის - #71 ანძიდან - #84 ანძამდე მონაკვეთის გადატანის“ სამუშაოებს (შემდგომში „ეგხ-ს გადატანის სამუშაოები“).

1.2. „პროექტის განმახორციელებელი“ სამშენებლო სამუშაოებს განხორციელებს საკუთარი პასუხისმგებლობითა და ხარჯებით.

1.3. „ეგხ-ს გადატანის სამუშაოების“ დასრულების შემდგომ, „პროექტის განამხორციელებელი“ გადასცემს ხოლო „ბენეფიციარი“ მიიღებს წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ხაზის გადატანის სამუშაოებს, რომელთან დაკავშირებითაც „მხარეებს“ შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

1.4. „ბენეფიციარი“ უზრუნველყოფს „პროექტის განმახორციელებელის“ მიერ მომზადებულ და მისთვის წარდგენილ სანებართვო დოკუმენტაციის, გარემოსდაცვით შეფასების ანგარიშ(ებ)ის, საექსპერტო დასკვნების, კორესპონდენციის და სხვა საჭირო დოკუმენტაციის წარდგენას სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში შესაბამისი (მშენებლობის) უფლებებისა და ნებართვების მოპოვებისათვის. საჭიროებისამებრ, „ბენეფიციარი“ გასცემს მინდობილობას „პროექტის განმახორციელებელზე“ ამ პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის სახელმწიფო უწყებებში წარდგენისა და წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით.

1.5. წინამდებარე შეთანხმების 1.4. პუნქტში ჩამოთვლილ დოკუმენტაციაში ხარვეზის არსებობის შემთხვევაში „პროექტის განმახორციელებელი“ უზრუნველყოფს მის გამოსწორებას საკუთარი ხარჯებით და პასუხისმგებლობით.

1.6. „პროექტის განმახორციელებელი“ საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს ხაზის მშნებელობისათვის საჭირო უფლებებისა და ნებართვების, ტყითსარგებლობის უფლების მოპოვებას, რომელსაც უსასყიდლოდ გადასცემს „ბენეფიციარს.“ „პროექტის განმახორციელებელი„ ასევე საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს საკუთრების უფლების მოპოვებას იმ მიწის ნაკვეთებზე, რომლებზეც უნდა მოხდეს ელ. გადამცემი ხაზის ანძების განთავსება, ხოლო შემდეგ აღნიშნული მიწის ნაკვეთების „ბენეფიციარისთვის“ საკუთრებაში გადაცემას უსასყიდლოდ.

1.7. წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ქონებ(ებ)ის გადაცემასთან დაკავშირებულ საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას უზრუნველყოფს „პროექტის განმახორციელებელი.“

1.8. წინამდებარე შეთანხმების მიზნებისათვის საჭირო გზშ-ს ანგარიშს მოამზადებს „პროექტის განმახორციელებელი“, ხოლო „ბენეფიციარი“ ითანხმებს მას და უზრუნველყოფს მის წარდგენას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში. „პროექტის განმახორციელებელი“ უზრუნველყოფს გზშ-ს პროცედურისათვის საჭირო ხარჯების (მათ შორის მოსაკრებელი, საჯარო განხილვის ჩატარებასთან დკავშირებული ხარჯები) ანაზღაურებას. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, „პროექტის განმახორციელებელი“ უზრუნველყოფს რეკონსტრუქციას დაქვემდებარებულ მონაკვეთზე შესაბამისი გარემოსდაცვითი

იურიდიული დეპარტამენტი
Legal Department

ღონისძიებებისა მონიტორინგის განხორციელებას (ასეთი საჭიროების შემთხვევაში) და შესაბამისი ანგარიშების / ინფორმაციის წარდგენას „ბენეფიციარისთვის."

1.9. პროექტის დასრულების შემდგომ, არსებულ ხაზის დემონტირებულ ნაწილს, ელ. გადამცემი ბოძების გათვალისწინებით, პროექტის განმახორციელებელი გადასცემს ბენეფიციარს მის მიერ მითითებულ ადგილზე (გადასატანი ხაზიდან არაუმეტეს 25 კმ ფარგლებში, „ბენეფიციარის" მიერ მითითებულ ადგილზე).

1.10. მხარეები საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ვალდებულნი არიან მიიღონ ყველა ზომა წინამდებარე შეთანხმების შესრულებისათვის, მათ შორის, პროექტის განხორციელებისათვის საჭირო კორესპონდენციის დროულ გაგზავნაზე, წარმომადგენლის გამოყოფაზე (სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში, გზშ-ს ანაგარიშის საჯარო განხილვაზე, სანოტარო მოქმედებებისათვის თუ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში ასეთის საჭიროების შემთხვევაში), ინფორმაციის მიწოდებასა და გაცვლაზე.

მუხლი 2. მხარეების პასუხისმგებლობა

2.1. მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ამ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო მეორე მხარისათვის მიყენებულ დადასტურებულ ზიანზე. მხარეთა პასუხისმგებლობის საკითხი განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლის 3. ხელშეკრულების მოქმედება

3.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე

მუხლი 4. დავის გადაწყვეტა

4.1. მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად ხელმძღვანელობენ საქართველოს კანონით და მიმართავენ საქართველოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეები თანხმდებიან, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ მიექცევა აღსასრულებლად.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან/და დამატების შეტანა განხორციელდება მხარეთა შორის შეთანხმებით, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2. ყველა იმ საკითხის რეგულირების მიზნით, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

იურიდიული დეპარტამენტი
Legal Department

5.3. მხარეთა მიერ ერთმანეთისთვის წარმოდგენილი ყველა წინადადება, მოთხოვნა, ანგარიში, შეტყობინება და სხვ. წერილობით უნდა გაფორმდეს და პირადად უნდა ჩაბარდეს მეორე მხარეს, ან გაეგზავნოს მას მითითებულ ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

5.4. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

5.5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ხელშეკრულების 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა „პროექტის განმახორციელებელს", ხოლო მეორე ეგზემპლარი გადაეცემა „ბენეფიციარს"

5.6. წინამდებარე შეთანხმება მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით, პირველ მუხლში მითითებული მიზნების შესრულებამდე და ღონისძიებების განხორციელებამდე.

5.7. წინამდებარე შეთანხმება შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

პროექტის განმახორციელებელი

სს „RMG Copper"
ს/კ: 225358341
მისამართი: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის № 1
ტელეფონი: +995 32 247 45 45;
ელ ფოსტა: info@richmetalsgroup.com

JSC RMG Copper, GEORGIA
RMG COPPER
225358341

ალმასრულებელი დირექტორი:
თორნიკე ლიპარტია

ბენეფიციარი

„სს ენერგო-პრო ჯორჯია"
ს/კ: 205169066
მისამართი: ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა #19
ტელეფონი: +995322471707;
ელ. ფოსტა: INFO@ENERGO-PRO.GE

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე გრიგოლ მამისეიშვილი